ხელშეკრულება № 12/12/10
მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2013 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით,(CPV 63110000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის დავით კირთაძის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი"და მეორეს მხრივ, შპს ,,ჯორჯიან ექსპრესი"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შემდგომში წოდებული როგორც "DHL", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, მალხაზ პაპელაშვილის სახით შემდგომში `მიმწოდებელი'', ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადმოაგზავნოს, საზღვარგარეთ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საარჩევნო ტვირთი დანართით გათვალისწინებული ქვეყნებიდან შემდგომში მოხსენიებული როგორც "ტვირთი" შემდგომში `მომსახურება'', ხოლო შემსყიდველი კისრულობს მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მომსახურების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 24150 (ოცდაოთხი ათას ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა და დეტალური ხარჯთაღრიცხვა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს გაწეული მომსახურების მიხედვით.

4.მოსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2013 წლის 25 დეკემბრამდე

4.2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება: დანართით გათვალისწინებულ ქვეყნებიდან,

5.გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას შეუფერხებლად და დაზიანების გარეშე უზრუნველყოს ტვირთის გადაზიდვა.

5.2 ტვირთის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი პასუხისმგებელია ზარალის ანაზღაურებაზე.

6.ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს, მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10.მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით

10.2 სახელშეკრულებო ურთიერთობები DHL-ის და ტვირთის გამგზავნის შორის ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად DHL-ის პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად შემოიფარგლება უშუალო ზარალით და არ შეიძლება აღემატებოდეს ტვირთის ზღვრულ მნიშვნელობებს წონის კილოგრამზე/გირვანქაზე გამოანგარიშებით. DHL არ აანაზღაურებს ზარალის ან ზიანის ნებისმიერ სხვა სახეობას (გარდა სხვა ყველაფრისა გაშვებული სარგებლის, საპროცენტო შემოსავლის და საქმიანი პერსპექტივის ჩათვლით), იმის დამოუკიდებლად არის თუ არა აღნიშნული ზარალი ან ზიანი განსაკუთრებული ან არაპირდაპირი, იმ შემთხვევაშიც კი თუ DHL შეატყობინებს ამგვარი ზარალის ან ზიანის წარმოქმნის რისკის შესახებ როგორც ტვირთის მიღებამდე ასევე მისი მიღების შემდეგ, რადგან ტვირთის გამგზავნი უფლებამოსილია განახორციელოს განსაკუთრებული რისკების დაზღვევა. თუ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება კომბინირებული ხერხით, საავიაციო, საავტომობილო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, იგულისხმება, რომ ნებისმიერ ზარალს ან ზიანს ადგილი ჰქონდა ტვირთის საავიაციო ტრასპორტით გადაზიდვისას, თუ სხვა რამ არ იქნება დამტკიცებული. DHL-ის პასუხისმგებლობა ნებისმიერი ცალკეულად აღებული ტვირთის მიმართებაში შემოიფარგლება ფაქტიური ღირებულებით და არ შეიძლება აღემატებოდეს 100 აშშ დოლარის უმეტესი თანხისა ან:

- თანხისა, გამოთვლილს 20,00 აშშ დოლარი კილოგრამზე ან 9,07 აშშ დოლარი ერთ გირვანქაზე ტვირთის წონის გამოანგარიშებით, რომლის გადაზიდვა ხდება საავიაციო ან ნებიმიერი სხვა სახის ტრანსპორტით, გარდა საავტომობილო ტრანსპორტისა, ან
- თანხისა, გამოთვლილს 10,00 აშშ დოლარი კილოგრამზე ან 4,54 აშშ დოლარი ერთ გირვანქაზე ტვირთის წონის გამოანგარიშებით საავტომობილო ტრანსპორტით (არ გამოიყენება აშშ-ში).

თითოეული ტვირთზე არ შეიძლება განაცხადდეს ერთ პრეტენზიაზე მეტი, ამასთანავე წარმოებული ანგარიშსწორება მიიჩნევა ნებისმიერი მიყენებული ზიანის და ზარალის ანაზღაურების სრულ და საბოლოო ანგარიშსწორებად. თუ ტვირთის გამგზავნიაღნიშნულ ზღვრული თანხების გადახდას ჩათვლის არასაკმარისად, ის ცალკე აცხადებს ტვირთის ფასს და მისი დაზღვევის საჭიროების შესახებ მე-8 კარის დებულებათა შესაბამისად (ტვირთების დაზღვევა), ან აზღვევს ტვირთს დამოუკიდებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა რისკი, დაკავშირებული ტვირთზე ზარალის და ზიანის მიყენებასთან გადადის ტვირთის გამგზავნზე.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

10.3 “DHL” მიიღებს მასზე დამოკიდებულ ყველა ზომებს ტვირთის გადასაზიდად 4.1 პუნქტის შესაბამისად. “DHL” არ აგებს რაიმე პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის ზიანზე ან ზარალზე, გამოწვეულს მიწოდების დაყოვნებით.

10.4 ტვირთისავიაციური ხერხით გადაზიდვის შემთხვევაში, როდესაც დანიშნულების ან გაჩერების საბოლოო პუნქტი მდებარეობს ქვეყანაში, რომელიც განსხვავებულია გამგზავნის ქვეყნისაგან, ვარშავის კონვენციის დადგენილებები („ვარშავის კონვენცია“) არეგულირებენ და უმეტეს შემთხვევაში ზღუდავენ “DHL“-ის პასუხისმგებლობას ტვირთის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.

10.5 მომსახურების შემსყიდველი ეთანხმება, რომ ტვირთი არის გადასაზიდად დაუშვებელი იმ შემთხვევაში თუ:

- ის განეკუთვნება სახიფათო მასალების ან ტვირთების კატეგორიას და ასა-ს (ავიატრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია), სასო-ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციია), ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან მასთან მიმართებაში მოქმედებს აკრძალვა ან შეზღუდვა;
- მასზე არ არსებობს საბაჟო დეკლარაცია, რომლის ჰქონა გათვალისწინებულია შესაბამისი საბაჟო წესებით, ან
- DHL მიიჩნებს რომ ვერ უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებას და კანონიერებას (ცხოველების, ოქრო-ვერცხლის ზოდებში, ვალუტის, წარმდგენის ბრუნვადი ფინანსური დოკუმენტების, ძვირფასი ლითონების და ქვების, ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილების, აღჭურვილობის და საბრძოლო მასალების, ადამიანის ნეშთის, პორნოგრაფიული სახის მასალების, ასევე აკრძალული ნარკოტიკების/მედიკამენტების ჩათვლით).

11.ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: გ. სეხნიაშვილი.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. DHL უფლებამოსილია განახორციელოს ტვირთის გახსნა და ინსპექტირება ტვირთის გამგზავნისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრამდე

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შპს „ჯორჯიან ექსპრესი" DHL**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: (995 32) 510051 სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900; კოდი: 220101222	ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამ. №105 ტელ: 99532 2696060. საიდენტიფიკაციო კოდი: 201954965 სს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE70BG0000000391050200
დავით კირთაძე **თავმჯდომარის მოადგილე**	**მალხაზ პაპელაშვილი** **გენერალური დირექტორი**

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

№	ქვეყანა	სავარაუდო წონა	სავარაუდო თანხა ლარი
1	ბელგია	15.5	603
2	შვეიცარია	3.5	302
3	სლოვაკეთი	2.5	302
4	საფრანგეთი	4	318
5	ამერიკა	4.5	360
6	ირლანდია	1.5	238
7	თურქეთი	2.5	278
8	თურქეთი	3	293
9	სასომხეთი	4.5	201
10	ინგლისი	4	318
11	პორტუგალია	4.5	372
12	ესპანეთი	15.5	678
13	ჩეხეთი	3.5	302
14	შვედეთი	5	394
15	უზბეკეთი	1	221
16	ავსტრია	3.5	302
17	ლიტვა	3.5	302
18	პოლონეთი	9.5	503
19	ამერიკა	35.3	1139
20	უნგრეთი	1.5	213
21	დანია	1	219
22	ბულგარეთი	11.5	538
23	ესტონეთი	1.5	213
24	უკრაინა	22	705
25	ესპანეთი	5	390
26	გერმანია	16	611
27	კანადა	1.5	228
28	ისრაელი	2.5	302
29	საბერძნეთი	20.5	680
30	კვიპროსი	14.5	652
31	ლატვია	10.5	523
32	ბელარუსია	10.5	523
33	ეგვიპტე	11	531
34	იტალია	20.5	680
35	საბერძნეთი	40	988
36	საბერძნეთი	49	1131
37	საბერძნეთი	28	797
38	ჰოლანდია	10.5	523
39	საბერძნეთი	18.5	650
40	ქუვეითი	15.5	601
41	ყაზახეთი	21	689
42	უკრაინა	15	593
43	უკრაინა	17.5	625

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

44	თურქეთი	20	673
45	საბერძნეთი	42	1020
46	საბერძნეთი	33	744
47	აზერბაიჯანი	50	683

24150

"შემსყიდველი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისია

"მიმწოდებელი"
შპს „ჯორჯიან ექსპრესი" DHL

დავით კირთაძე
თავმჯდომარის მოადგილე

მალხაზ პაპელაშვილი
გენერალური დირექტორი

შემსყიდველი_____

მიმწოდებელი_____